ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4454545

ნომერი: AR1668158

თარიღი : 14.03.2019

გაცემის თარიღი : 11.04.2019

გაცნობის თარიღი : 11.04.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კანდელაკი , N 57;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მაჭავარიანი პ/ნ 01030010949
- თბილისი ივ.ჯავახიშვილის ქ. N 38

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2334006
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 12.09.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის ბ-19/01190523132-17 (11/03/2019) ბრძანებაში მითითებულიდან, განხორციელებული მშენებლობის დასადასტურებლად საჭიროა შემდეგი ხარვეზების გასწორება, კერძოდ:

- „7-1“ ფასადზე, სახურავზე დამატებით მოწყობილია ფანჯარა.

----- ანაზომში არ არის ასახული აღნიშნული ფანჯარა, საჭიროა დაიტანოთ საკადასტრო საზღვრამდე ზომის მითითებით.

- „ა-თ“ ფასადი „ა-ა“ ღერძის გარეთ შეცვლილია მოპირკეთების მასალა.

----- მოპირკეთების ლესვით შეცვლა არ არის მისაღები. აღნიშნული მონაკვეთი მოიყვანეთ შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში. მოპირკეთდეს ქვით.

- „ა-თ“ ფასადი „ა-ა“ ღერძის გარეთ +18.45 ნიშნულზე, „ზ-თ“ მონაკვეთში მინაბლოკის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა.

----- აღნიშნული ღიობით ირღვევა სამეზობლო მიჯნა, აქედან გამომდინარე საჭიროა მოაწყოთ მინაბლოკი შეთანხმებული პროექტის შესაბამისად ან ამოაშენოთ კაპიტალური შემავსებლით გა შელესოთ და შეღებოთ თეთრად.

- „თ-ა“ ფასადზე „ა-ა“ღერძის გარეთ შეცვლილია მოპირკეთების მასალა.

----- მოპირკეთების ლესვით შეცვლა არ არის მისაღები. აღნიშნული მონაკვეთი მოიყვანეთ შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში. მოპირკეთდეს ქვით.

- „თ-ა“ ფასადზე „ა-ა“ღერძის გარეთ +21.45 ნიშნულზე შემცირებულია კედლის სიმაღლე.

----- აღნიშნული კედლის სიმაღლის შემცირებით ირღვევა სამეზობლო მიჯნა. საჭიროა კედელი მოაწყოთ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

- ფასადებზე კონდიციონერების და გათბობის ქვაბების რაოდენობა და განთავსების ადგილები არ შეესაბამება საპროექტოს.

----- კონდიციონერები და გამათბობელი ქვაბები მოაწყვეთ შთანხმებული პროექტის შესაბამისად ან შეფუთეთ დეკორატიული მასალით ერთიანი გადაწყვეტის პრინციპით.

- დამატებულია სატელიტური ანტენა.

----- ანაზომში არ არის დატანილი და სურათებში ჩანს, შეუსაბამეთ ერთმანეთს.

- +2.70 ნიშნულზე შემცირებულია კიბის ბაქნის სიგანე.

----- ანაზომზე მონიშნეთ აღნიშნული მონაკვეთი და დაიტანეთ ზომები.

02. ... წარმოადგინეთ მუნიციპალური ინსპექციის მიერ დამოწმებული, ზემოაღნიშნული მითითებების შესაბამისად განახლებული ანაზომი პროექტი. ანაზომის შემადგენლობა მითითებულია 4427256 გადაწყვეტილებაში.
... გამოსწორებული ხარვეზები უნდა აისახოს მუნიციპალური ინსპექციის ბრძანებაში.

03. ბინების და ავტოსადგომების რაოდენობა უნდა იყოს თანაბარი. აქედან გამომდინარე ვინაიდან გაზრდილია ბინების რაოდენობა საჭიროა მოაწყოთ დამატებით ავტოსადგომი.

04. კონსტრუქციული დასკვნას თან უნდა ერთვოდეს პასუხისმგებელი პირის საკვალიფიკაციო მონაცემები.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.